შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (6 -18 წელი) მდგომარეობა ქალაქ თბილისში

ნინო ნაცვლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი სოციალურ მუშაობაში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღანელი: შორენა საძაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014 წ.

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მდგომარეობის შესწავლას საქართველოში ქ. თბილისის მაგალითზე. შშმ ბავშვების უფლებების დაცვა, მათთვის მოხერხებული გარემოს შექმნა და მათი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ადაპტაცია დანარჩენ მოსახლეობასთან ბევრ სირთულეებს აწყდება იმის მიუხედავად, რომ არსებობს საკანონმდებლო აქტები, რომლებიც უშუალოდ ითავლისწინებენ ზემოთ დასახელებული საკითხების მოგვარებას და ასევე, იმ ფონზე, როცა მთელი რიგი ღონისძიებებისა უკვე გატარდა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნაშრომში აღწერილია შშმ ბავშვებისა და მათი ოჯახების პრობლემები, რომელიც გამოვლინდა ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდისა და მეორადი ინფორმაციის ანალიზის მეშვეობით და პასუხობს კითხვებს, თუ რამდენად არის შშმ ბავშვების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა ეფექტური და თანმიმდევრული და რა საჭიროებები აქვთ შშმ ბავშვებს და მათ ოჯახებს, რომლის მიხედვითაც შემუშავებულია გარკვეული რეკომენდაციები.